



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 096/17<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნინო ხიზანიშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგან ადვოკატმა არ განახორციელა სამოქალაქო საქმის სასამართლოში წარმოება. კლიენტსა და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2015 წელს. ადვოკატმა კლიენტს ჰონორარის სახით გადასცა 200 ლარი, 25 ლარი კი - თავდაპირველი კონსულტაციისათვის. ადვოკატმა მოიკვლია სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით გარემოებები და აცნობა კლიენტს, რომ მის მოთხოვნას სასამართლო არ დააკმაყოფილებდა. ადვოკატმა კლიენტს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების საფასური - 100 ლარი.

### პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შესაძლოა დარღვეულად მიჩნეულიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა, 6.2 მუხლები; აპეკ-ის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლები, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა არ შეასრულა მასსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმების პირობები, კლიენტს არ შეუთანხმა სტრატეგია, არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ და არ უბრუნებს აღებული ჰონორარის გამოუმუშავებელ ნაწილს.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, ანუ შეასრულოს ჯეროვნად ის ვალდებულებები, რომლებიც აიღო კლიენტის საქმის საწარმოებლად, კლიენტთან შეთანხმებით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურება გულისხმობს, როგორც კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის რისკის წარმოქმნას, ასევე ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობას, კლიენტთან დაცვის სტრატეგიის შეუთანხმებლობას და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტთან დაცვის სტრატეგიის შეუთანხმებლობა და სარჩელის კლიენტისაგან დამოუკიდებლად წარდგენა, რის თაობაზეც კლიენტი არ იყო ინფორმირებული, ჩაითვლება ადვოკატის მიერ არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებად. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე, რის შედეგადაც ადვოკატს წარმოემოხა ეთიკური ვალდებულება - სავარაუდო ექვივალენტური თანხა მის მიერ გაწეული მომსახურებასა და ხარჯთან ერთად გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, დარჩენილი თანხის ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს. კლიენტსა და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2015 წელს. ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა კლიენტის სამოქალაქო საქმე, რისთვისაც მას კლიენტმა გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 200 ლარი. ადვოკატმა განახორციელა შემდეგი მოქმედება: საქმის შესწავლის პროცესში გაარკვია, რომ ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილი იყო არა კლიენტი, არამედ მისი გარდაცვლილი მეუღლის ნათესავი. ასევე, ზიანის მიმყენებელი პირის მამამ კლიენტის ძმას გადასცა ხელწერილი 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ მიყენებული ზიანისათვის. ადვოკატმა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად მიმართა საჯარო რეესტრს. მოვალე აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი და მის სახელზე ქონება არ ირიცხებოდა. მას არ გააჩნდა შემოსავალი. ამ ყველაფრის მოკვლევის შემდეგ,

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5e3d5973e635b.pdf/096.17%20gamartleba%2013.12.2018.pdf>

ადვოკატი დაუკავშირდა კლიენტს და განუმარტა, რომ მის მოთხოვნას სასამართლო არ დააკმაყოფილებდა. ასევე, ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილი - 100 ლარი. ვინაიდან კლიენტი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ადვოკატს მასთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია. კლიენტის საქართველოში ჩამოსვლისას, ის პირადად ხვდებოდა ადვოკატს.

### **დასკვნა**

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 6.2 მუხლი, აპეკ-ის მე-8.5, 8.6 და 8.15 მუხლები და უარი თქვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე.